



დაავალებათა პონტილისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის
ეროვნული ცენტრი

NATIONAL CENTER FOR DISEASE CONTROL
AND PUBLIC HEALTH

ძვირფასო მემობრებო,

წინამდებარე ბროშურით გვსურს წარმოგიდგინოთ საქართველოს კანმრთელობის დაცვის სისტემაში არსებული ერთ-ერთი წამყვანი დაწესებულების – ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი კანმრთელობის ეროვნული ცენტრის (დკსჯეც) – როლი ქვეყნის კანდაცის სისტემის განვითარებისა და მოსახლეობის კანმრთელობის გაუმჯობესების საქმეში. დღევანდელი სახით დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი კანმრთელობის ეროვნულ ცენტრს ოცი წლის ისტორია აქვს, თუმცა ის სათავეს კერ კიდევ საქართველოში შავი ჭირის საწინააღმდეგო სადგურის დაარსების დღიდან (1937 წელი) იღებს. 1992 წელს შავი ჭირის საწინააღმდეგო სადგური განსაკუთრებით საშიში დაავადების სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრად გარდაიქმნა, 1996 წელს გატარებული სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სისტემის რეფორმის შედეგად კი დაარსდა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი. 2003-2007 წლებში ჩატარდა ცენტრის ფართომაშტაბიანი რეორგანიზაცია, რომელიც დასრულდა სამედიცინო სტატისტიკისა და ინფორმაციის ცენტრისა და საზოგადოებრივი კანდაციის დეპარტამენტის ფუნქციების შემოერთებით. 2013 წელს დკსჯეც-ში სრულად ინტეგრირდა რიჩარდ ლუგარის საზოგადოებრივი კანმრთელობის კვლევითი ცენტრი.

1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, ქვეყანა მრავალმხრივი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა, რასაც შედეგად საფინანსო და ფულად-საკრედიტო სისტემების სრული მომლა, სამეურნეო კავშირების რღვევა და წარალიზება მოჰყვა; სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის პრობლემები კი, ბუნებრივია, ურუყოფით ზემოქმედებას ახდენდა მოსახლეობის კანმრთელობის მდგომარეობაზე. სამედიცინო სფეროში შექმნილი კრიზისიდან გამოსვლისათვის აუცილებელი გახდა მოსახლეობის კანმრთელობის დაცვის დარგში ნაკისრი სახელმწიფო ვალდებულებების დაბალანსება მის შესაძლებლობებთან. 1994-1995 წლებში კანმრთელობის დარგში დაიწყო რეფორმირების მტკიცენეული, რთული და მრავალეტაპიანი პროცესი, რომელიც კანდაციის ორგანიზაციისა და მართვის ახალი მოდელის დანერგვას ისახავდა მიზნად. დარგის განვითარების სამართლებრივი საფუძველი საქართველოს კონსტიტუციით (1995 წ.) შეიქმნა, რომლის 37-ე მუხლით განისაზღვრა ყველა ადამიანის უფლება, ისარგებლოს კანმრთელობის დაზღვევითა და კანონით დადგენილი უფასო სამედიცინო დამარებით და იცხოვროს კანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, ხოლო სახელმწიფოს დაეკისრა ვალდებულება, აკონტროლოს კანდაციის ყველა დაწესებულება და სამკურნალო საშუალებათა წარმოება/გაყიდვა.

კონსტიტუციის ფუძემდებლური პრინციპებიდან გამომდინარე, შემუშავდა ძირითადი სამართლებრივი აქტები – კანონები „კანმრთელობის დაცვის შესახებ“ (1997 წ.) და „საზოგადოებრივი კანმრთელობის შესახებ“ (2007), რომლებითაც განისაზღვრა ადამიანის კანმრთელობაზე ზრუნვისა და პრევენციული ღონისძიებების განხორციელების უმნიშვნელოვანესი საფუძვლები.



საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა განსაკუთრებული როლი შეიძინა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში წამყვან ორგანიზაციად ჩამოყალიბდა. ცენტრის ძირითადი მანდატი დაავადებათა აღრეული გამოვლენა და პრევენციაა. ამგვარად, ჯანდაცვის სისტემის განვითარების ყველა ეტაპზე ცენტრი, როგორც ლიდერი ინსტიტუცია ეროვნულ დონეზე, სათავეში ედვა და მნიშვნელოვანი წვლილი შექმნდა გადამდები და არაგადამდების პრევენციისა და კონტროლის საქმეში.

ცენტრის მისის სათანადო დონეზე განხორციელების საწინდარს ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, თანამედროვე დონეზე აღჭურვილი ლაბორატორიები და, რაც მთავარია, მაღალკვალიფიკირებული ადამიანური რესურსი წარმოადგენს, რაც საშუალებას იძლევა, რომ მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაციის საფუძველზე, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საფრთხეებისადმი მზადყოფნის და დროული რეაგირების გზით, სწორად და დროულად განხორციელდეს გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა პრევენცია, მიმდინარეობდეს მუდმივი მონიტორინგი, მცირდებოდეს გარემო და სხვა ქცევითი რისკ-ფაქტორებით გამოწვეული ზიანი.

რა თქმა უნდა, ბროშურა სრულად ვერ ასახავს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ყველა მიღწევას და იმ დამსახურებას, რომლებიც მას, როგორც ჯანდაცვის სისტემის ერთ-ერთ უმთავრეს, ტრადიციულ და თავისი საქმიანობით გამორჩეულ დაწესებულებას, ქვეყნის წინაშე აქვს, თუმცა შემდგენლები შეეცადნენ, მკითხველისთვის ილუსტრირებული ფორმატით მიენობდებინათ ცენტრის ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი, საკვანძო საკითხები. იმედს ვიტოვებთ, რომ ბროშურა საინტერესო იქნება ფართო საზოგადოებისთვის.

ამინან გამყრელიძე

გენერალური დირექტორი

გიორგი შენელიძე

გენერალური დირექტორის მოადგილე
მეცნიერების დარგში

Dear friends,

By present brochure we are pleased to distinguish the role of Levan Sakhvarelidze National Center for Disease Control and Public Health (NCDC) as one of the prominent institutions of Georgia in the country's health system development and improvement of public health. The NCDC, in its present form, has been functioning over the recent 20 years, though its actual start-up dates back to the establishment of the Plague Station in 1937. Furthermore, the Station was transformed into Scientific-Practical Center of Especially Dangerous Pathogens in 1992 and as a result of the reform of the Sanitary-Epidemiological System in 1996, the National Center for Disease Control was established. The major restructuring of the Center took place in 2003-2007 when the Center of Medical Statistics and Information and Public Health Department were merged. Richard G. Lugar Center for Public Health was fully integrated into the NCDC structure in 2013.

After the collapse of the Soviet Union in 1991, Georgia faced numerous challenges in almost all fields, resulting in depreciation of financial, monetary and credit systems, downfall of economic links and seize of production. It is worth emphasizing that all above mentioned events negatively impacted on the population health status of Georgia. In order to overcome the health sector crisis, the need for balancing state protection measures of population health status vis-à-vis its actual capacities became evident. To solve the problem, the painful reform processes of the system were launched in 1994-1995. The reform aimed at implementation of a new model of health care organization and management.

The legal basis for the development of the field was determined by the Constitution of Georgia in 1995. By the Article 37 of the document was defined the universal right of the country's population to benefit from the health insurance and free-of-charge health care, as well as to reside in the safe environment for the health. The state became responsible for controlling the entire health care facilities and producing/merchandising of the medicines. The major legal acts enforced in the field are the Law of Georgia on Health Care, 1997 and the Law of Georgia on Public Health, 2007 reflecting the major provisions related to health care and disease prevention.



After the country gaining the independence, the NCDC has assumed the role of the core institution working on the public health in Georgia. The Center's main mandate comprises the prevention and early detection of diseases. Thus, at every stage of health system development in Georgia, NCDC was a leading institution in the prevention and control of the communicable and non-communicable diseases.

Solid material-technical basis, laboratories equipped according to the contemporary standards and qualified human resources serve as the foundation for NCDC to carry out evidence-based work related to addressing public health threats and the respective contingency planning, effective and timely prevention and monitoring of the communicable and non-communicable diseases, as well as reduction of harm due to environmental hazards and risky behavior.

It is obvious that the present brochure will not reflect the entire accomplishments of NCDC as well as its worth and significance as one of the prominent organizations in Georgia's health care sector, though the authors of the document did their best to provide major milestones achieved for audience's consideration.

A handwritten signature in black ink, appearing to read "A. Gamkrelidze".

AMIRAN GAMKRELIDZE

Director General

A handwritten signature in black ink, appearing to read "P. Imnadze".

PAATA IMNADZE

Deputy Director General for Science

ცენტრის დაარსება

გიორგი ელიავას ინიციატივით ბაქტერიოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე 1933 წელს ჩამოყალიბებული „ამიერკავკასიის შავი ჭირის საწინააღმდეგო ცენტრი“ 1937 წელს ცალკე დაწესებულებად გამოიყო და „თბილისის შავი ჭირის სამეთვალყურეო სადგური“ ენოდა. 1957 წელს მისი ფუნქციები გაფართოვდა და „შავი ჭირის საწინააღმდეგო საქართველოს რესპუბლიკური სადგური“ ენოდა. 1993 წელს გარდაიქმნა „განსაკუთრებით საშიშ ინფექციათა საწინააღმდეგო სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრად“ სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკულ დაავადებათა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის 2 სამეცნიერო განცოდილების შემოერთებით. 1996 წელს, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ფართომასშტაბიანი რეორგანიზაციის პროცესში, ამ ცენტრის ბაზაზე შეიქმნა „დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი“, ეპიდემიოლოგიური პროფილის განცოდილების შემოერთებით რესპუბლიკური სანებიძსადგურიდან. ფუნქციებისა და სტრუქტურის მაგალითად აღებული იყო აშშ CDC-ს მოდელი. აღსანიშნავია, რომ შემდგომ წლებში ბევრ სხვა ქვეყანასა და მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებშიც ჩამოყალიბდა მსგავსი ფუნქციებისა და სახელის მქონე დაავადებათა კონტროლის ცენტრები.

In 1937 the new institution named as "Tbilisi Plague Supervisory Station" was separated from the "Transcaucasian Anti-plague Center" established in 1933 by the initiative of G. Eliava on the basis of the Institute of Bacteriology. In 1957 the Center's functions were expanded and the Center was renamed as "Georgian Anti-plague Republican Station" (APS). In 1993 Georgian APS was transformed into the "Research Center for Especially Dangerous Pathogens" (EDPs) after accession of two Research Departments of Medical Parasitology and Tropical Diseases Research Institute. In 1996, in the process of a large-scale reform of the Sanitary-Epidemiological Service, on the basis of the Center "National Center for Disease Control" was established after accession of epidemiological divisions from the Republican Sanitary-Epidemiological Station. USA CDC were used as a model for the functions and the structure of the Center. It should be noted that later in many other countries and in the European Union too, the Centers for Disease Control with the similar functions and name were established.

ESTABLISHMENT
OF THE CENTER





დიფთერიის ეპიდემია და მისი კონტროლი საქართველოში

6



ოციოდე წლის წინ საქართველოში დიფთერიის ეპიდემია მძვინვარებდა. მიზეზები:

- » ვაქცინებით მომარაგების წყვეტა 90-იანი წლების დასაწყისში;
- » 80-იანი წლებიდან მედიაში იმუნიზაციის საწინააღმდეგო კამპანია;
- » პრობლემები „ცივი ჟაჭვის“ ფუნქციონირებაში.

გაეროს ბავშვთა ფონდის, USAID, ქანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის, ექიმები საზღვრებს გარეშე და სხვა ორგანიზაციების დახმარებით 1995-1996 წლებში ქვეყანაში ჩატარდა 3-60 წლის მოსახლეობის მასობრივი იმუნიზაციის კამპანია ტდ ვაქცინით, მოცვა – 83%.

აშშ CDC-ის თბილისის ოფისის მხარდაჭერით 1995 წელს კახეთში ჩატარდა სხვადასხვა ასაკის მოსახლეობის სეროლოგიური კვლევა ბუსტერ დოზის შემდგომ დიფთერიის საწინააღმდეგო იმუნიტეტის არსებობაზე. აღმოჩნდა, რომ 30-49 წლის ასაკის მოსახლეობას დამცველობითი იმუნიტეტი მაინც არ ჰქონდა. კვლევის საფუძველზე, 1997 წელს ჩატარდა ამ ასაკობრივი კონტრინგენტის ტდ ვაქცინის მე-2 ბუსტერ დოზით ვაქცინაცია. მოცვა – 86%. შედეგად 1998 წლიდან დიფთერიის ეპიდემია კონტროლირებადი გახდა.


At about couple of decades ago the Diphtheria outbreak raged in Georgia. Causes:

- » Vaccine supply shortages in early 90s;
- » Anti vaccination media campaign since 80s;
- » Weak cold chain management system functioning.

With the support from the UNICEF, USAID, WHO, MSF and other organizations massive vaccination campaign with Td Vaccines for 3-6-year old population was carried out in 1995-1996, with 83% coverage.

In 1995, with US CDC support the serologic survey to identify immunogenicity following the booster dose of Diphtheria was conducted in Kakheti district. It appeared that population aged 30-49 still was not immune to Diphtheria. Based on the survey results, relevant-aged population was vaccinated by the second booster dose of Td vaccine in 1997. The coverage was 86%. As a result a Diphtheria epidemic has been under the control since 1998.

დიფთერიის ეპიდემია საქართველოში
DIPHTHERIA OUTBREAK IN GEORGIA



DIPHTHERIA
OUTBREAK
AND ITS
CONTROL
IN GEORGIA

CDC-ის პირველი მისია საქართველოში და ეპიდემიოლოგთა პირველი კოვენტის მომზადება

საქართველოში CDC-ის პირველი მისია 1994-1996 წლებში განხორციელდა. მისიას ხელმძღვანელობდა სტენლი მიუზიკი.

მისიას ფარგლებში განხორციელდა: არტერიული ჰიპერტენზის კვლევა აჭარაში, დიფ-თერიის კვლევა და სხვა. მომზადდა ქართველ ეპიდემიოლოგთა პირველი კოკორტა.

ეპიდემიოლოგები მუშაობდნენ რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულებით: არტერიული ჰიპერტენზია, ძუძუს კიბო, ტუბერკულოზი, საკვებისმიერი ტოქსიკონფექციები, დიფ-თერია და სხვა.

მისიას ფარგლებში დაიწყო ეპიდემიოლოგიური ბიულეტენის გამოცემა.

The first mission of CDC in Georgia took place in 1994-1996. The mission was led by Dr. Stanley Music.

The several surveys were conducted, namely: Hypertension Survey in Ajara, Diphtheria Survey, etc.

Within the scope of the mission the first cohort of Georgian epidemiologists was trained. The priority areas of the mission were as follows: arterial hypertension, breast cancer, tuberculosis, food poisoning, diphtheria, etc.

Publishing of Epidemiological Bulletin was initiated.

THE FIRST
MISSION
OF CDC
ATLANTA
IN GEORGIA
AND TRAINING
OF THE FIRST
COHORT OF
GEORGIAN
EPIDEMIOLOGISTS





მოლეკულური ეპიდემიოლოგია დანერგვა

მოლეკულური ეპიდემიოლოგიის, როგორც ინფექციურ სწორებათა კვლევასთან დაკავშირებული ერთ-ერთი თანამედროვე დარგის, დანერგვა საქართველოში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მოლეკულური ეპიდემიოლოგიის ლაბორატორია მუშაობს ინფექციურ დაავადებათა გამომწვევების დიაგნოსტიკასა და მათ შესწავლაზე გენოტიპირების სხვადასხვა მეთოდის, ასევე სექვენირების გამოყენებით. დაგეგმილია არაინფექციურ დაავადებათა მოლეკულური კვლევების დანერგვა. დღიდან დაარსებისა მოლეკულური ეპიდემიოლოგიის ლაბორატორიაში დაიგეგმა და განხორციელდა მრავალი სამეცნიერო პროექტი.



Implementation of molecular epidemiology as one of the contemporary directions related to infectious diseases research was initiated in Georgia in early 1990s.

Molecular Epidemiology Lab of the National Center for Disease Control and Public Health works on the diagnostics of infectious disease agents using various genotyping methods as well as sequencing. It is planned to introduce molecular methods for investigating non-communicable diseases too. Since its establishment Molecular Epidemiology Lab has planned and implemented the number of scientific projects.



IMPLEMENTATION
OF MOLECULAR
EPIDEMIOLOGY

პირველი ერთობლივი კონფერენცია CDC-სთან „საზოგადოებრივი პანდაცვის დოკუმენტი და ხვალინები დოკები“

1996 წლის 5-9 აგვისტოს თბილისში ჩატარდა პირველი ერთობლივი კონფერენცია CDC-სთან „საზოგადოებრივი კანდაცვის დღევანდელი და ხვალინდელი დღე“ საზოგადოებრივი კანდაცვის ზედამხედველობის საინფორმაციო სისტემების შესახებ.

კონფერენციაში მონაწილეობნენ საქართველოს კანდაცვის სამინისტრო, CDC – ატლანტის და CDC-ს თბილისის ოფისები, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და სხვა დაწესებულებები, აზერბაიჯანისა და სომხეთის კანდაცვის სამინისტროები.

The first joint Conference with CDC „Public Health Today: Vision of Tomorrow“ dedicated to public health surveillance and information systems was held on August 5-9, 1996.

Ministry of Health of Georgia, CDC/Atlanta, CDC/Georgia, NCDC, Tbilisi State Medical University and other organizations, as well as Ministries of Health of Azerbaijan and Armenia took part in the conference.

THE
FIRST JOINT
CONFERENCE
WITH CDC
„PUBLIC HEALTH
TODAY: VISION OF
TOMORROW“





10



პირველი სტატისტიკური ცნობარის გამოცემა ქართულ და ინგლისურ ენებზე

სტატისტიკური ცნობარი „ქანმრთელობის დაცვა – საქართველო“ ყოველწლიური გამოცემაა, რომელშიც ნარმოდგენილია ქვეყნის მოსახლეობის ქანმრთელობის მდგომარეობისა და ქანდაცვის რესურსების ამსახველი ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებლები.

ცნობარებში მოყვანილი მაჩვენებლების გამოსათვლელად გამოიყენება ქანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული მეთოდოლოგია, რაც ხელს უწყობს საქართველოს მაჩვენებლების შედარებას სხვა ქვეყნების მაჩვენებლებთან.

The statistical yearbook "Health Care in Georgia" represents the annual edition comprising the basic statistical indicators related to public health and health care resources of the country.

The indicators provided by the yearbooks are calculated using the WHO recommended methodologies. The latter makes possible to compare the respective data from Georgia to the data from other parts of the world.

PUBLISHING
THE FIRST
STATISTICAL
YEARBOOK
IN GEORGIAN
AND ENGLISH
LANGUAGES



საქართველოს კანონი “ჯანმრთელობის დაცვის შესახებ”

ქანდაცვის სფეროს მარეგულირებელი ფუნდამენტური საკანონმდებლო აქტი,
რომელიც გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციიდან, შეესაბამება საერ-
თაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს და აწესრიგებს ურთიერთობებს
სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შო-
რის მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, აღიარებს პაციენტის პატივისა
და ღირსების ავტონომიურობას, განსაზღვრავს სახელმწიფოს ძირითად პრინციპებსა და
ამოცანებს.

კანონის XI თავი განსაზღვრავს დაავადებათა კონტროლთან დაკავშირებული ღონისძიებე-
ბისა და სავალდებულო ქმედებების ჩარჩოს.

Law of Georgia on Health Care is the fundamental regulatory document in the health care system of Georgia, based on the Constitution of Georgia.

The Law is in concordance with the international agreements and understandings and regulates the relationships between the State and the Legal Entities and Physical Bodies in the field of Health care and recognizes the autonomy of patients' esteem and dignity. The Law defines the State's main principles and objectives in health care.

Chapter XI of the Law defines the measures and mandatory actions' framework for Diseases' Control.



ცენტრის პირველი გრანტი - ფონდი „ლია საზოგადოება საქართველო“

პროექტის მიზანი იყო ეპიდზედამხედველობის ქსელში დასაქმებული სპეციალისტების პროფილური ცოდნის ამაღლება ტრენინგების მეშვეობით. ჩატარდა სამი ტრენინგი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოსა და აჭარაში. სწავლების პროგრამა 5 საკითხს მოიცავდა:

1. მართვადი ინფექციების სპეციფური პროფილაქტიკა;
2. წყლითა და საკვებით გავრცელებადი ინფექციები;
3. ჰოსპიტალური ინფექციები;
4. არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიის საფუძვლები;
5. ბიოსტატისტიკა და ეპიდემიოლოგიური კომპიუტერული პროგრამები.

სულ მომზადდა 150 სპეციალისტი. დაიბეჭდა 12 ეპიდბიულეტები და 3 დამატება.

პროექტზე მუშაობის დროს დამყარდა მჯიდრო კონტაქტი ყველა რაიონის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანიზაციასთან, სპეციალისტების მომზადებამ უნიფიცირებული სახე მიიღო.

The goal of the project was to rise professional capacities of specialists working in the epid-surveillance network by trainings. Three training sessions were carried out in the East and West Georgia and Ajara Region. The training programs covered 5 topics:

1. Prevention of curable infections;
2. Water- and food-born infections;
3. Nosocomial infections;
4. Non-communicable diseases epidemiology basics;
5. Biostatistics and IT programs on epidemiology.

150 specialists were trained within the project. 12 epid-bulletin and 3 amendments were published.

Close contacts were established among NCDC and regional public health centers. The specialists' training was carried out by unified approach.



THE FIRST
GRANT
FUNDED BY
FOUNDATION
"OPEN SOCIETY
GEORGIA"

ფოგარტის ცენტრთან თანამშრომლობა

მიღებულია ფოგარტის პირველი „საერთაშორისო სასწავლო და კვლევითი გრანტი აღმოცენებად ინფექციურ და ავადებებში“

ხანგრძლივობა: 1997-2002.


გრანტის ფარგლებში ცენტრში დაინერგა მოლეკულური ბიოლოგის მეთოდები პოლი-მერაზა ჰაქვური რეაქციით (PCR) დიფთერიის ტოქსიგენობის დადგენა და PFGE ტიპირება.

აშშ-ს მერილენდის (ბალტიმორი) და ნიუ იორკის შტატის (ოლბანი) უნივერსიტეტებში მომზადდა 9 თანამშრომელი.

The first Fogarty Grant on International Training and Research in Emerging Infectious Diseases (ITREID) was awarded. Duration: 1997– 2002.

In the frame of the Fogarty Grant, in the Center, molecular biology methods, such as PCR, detection of diphtheria toxicology and PFGE typing were implemented.

9 specialists were trained in the US Universities, namely: University of Maryland (Baltimore), University at Albany-SUNY.



COLLABORATION
WITH FOGARTY
CENTER



მოსახლეობის მასობრივი სამედიცინო-პროფილაქტიკური გასინჯვები

14

პროგრამის „მოსახლეობის მასობრივი სამედიცინო-პროფილაქტიკური გასინჯვები“ ფარგლებში ათი წლის განმავლობაში გამოკვლეულ იქნა მაღალმთიანი და საზღვრისპირა რეგიონების ასიათასზე მეტი მაცხოვრებელი.



During 10 years, in the frame of the program: "Mass medical and prophylactic investigations", more than 100.000 inhabitants from alpine and seafront regions have been examined.

MASS
MEDICAL
AND
PROPHYLACTIC
INVESTIGATIONS
OF THE PUBLIC

წითელას საწინააღმდეგო იმუნიზაციის პამპანია

წითელას შემთხვევების მატებისა და წითელას საწინააღმდეგო გეგმიური იმუნიზაციით მოცვის არასახარბიელო მაჩვენებლების გამო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე 1997 წლის შემოდგომაზე ჩატარდა წითელას საწინააღმდეგო იმუნიზაციის მასობრივი კამპანია. კონტინგენტად განისაზღვრა 1-2 წლის (აცრაგამორჩენილი) და 3-5 წლის ასაკის (რევაქციისაცია) ბავშვები. აიცრა 180 505 ბავშვი, მოცვა – 90%.

MEASLES
VACCINATION
CAMPAIGN

In regards to the increasing number of Measles cases and suboptimal coverage with routine Measles vaccine, the mass immunization campaign against measles was conducted on the whole territory of Georgia, in autumn 1997.

As a consequence of increasing number of measles cases and suboptimal coverage rates for routine measles vaccination in autumn 1997, on the whole territory of Georgia, the mass immunization campaign against measles was carried out. The target groups were 1-2 year old incompletely vaccinated and 3-5 year old children (booster). 180 505 children were vaccinated, with 90% coverage rate.





ანტიბიოტიკების გამოხვავი მიზანები

Antibiotic resistance happens when bacteria change and become resistant to the antibiotics used to treat the infections they cause.

- Over-prescribing of antibiotics
- Patients not finishing their treatment
- Over-use of antibiotics in livestock and fish farming
- Poor infection control in hospitals and clinics
- Lack of hygiene and poor sanitation
- Lack of new antibiotics being developed

www.who.int/drugresistance

World Health Organization

ანტიბიოტიკების გამოხვავი პირველი კვლევა

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში შეიქმნა ნოტიფიკაციების განყოფილება. პირველად საქართველოში ხუთ კლინიკაში შეისწავლეს ნოტიფიკაციების გამომწვევი ბაქტერიები, მათი ანტიბიოტიკებისადმი მგრძნობელობა და დაინერგა ინფექციების პრევენციისა და კონტროლის პრინციპები. თბილისის სამ კლინიკაში შეისწავლეს ქირურგიული ჩარევის მიღამოს ინფექციების მომენტალური პრევალენტობა.

კლინიკურ პრაქტიკაში დაინერგა პერიოპერაციული ანტიბიოტიკური პროფილაქტიკა, რის შედეგადაც ქირურგიული ჩარევის მიღამოს ინფექციების ინციდენტობა თითქმის ორჯერ შემცირდა.

შემუშავდა სასწავლო პროგრამა „ინფექციების კონტროლი“.



Nosocomial infection unit was established at the National Center for Disease Control and Public Health.

For the first time in Georgia, at five hospitals, the prevalence of bacterium causing nosocomial infections and their susceptibility to antibiotics was studied, and principles of infection prevention and control were implemented. Point-prevalence of surgical site infections was studied at three hospitals of Tbilisi.

Perioperative antibiotic prophylaxis was implemented in clinical practice. The latter resulted in two-fold decrease of surgical site infections.

Training program "Infection Control" was developed.

THE FIRST
STUDY OF
ANTIMICROBIAL
RESISTANCE

დიფთერიის გამომწვევი C.DIPHTHERIA მტარებლობის შესწავლა

1993 წლიდან დაწყებული დიფთერიის ეპიდემიის შეჩერებისა და დიფთერიის საწინააღმდეგო მასობრივი აცრების კამპანიების დამთავრების შემდეგ, დიფთერიის ეპიდემიის კონტროლისათვის, გარდა მასობრივი ვაქცინაციისა, საჭირო იყო ბაქტერიომტარებელთა აქტიური გამოვლენა და სანაცია. დაიგეგმა დიფთერიის გამომწვევი C. Diphtheria მტარებლობის შესწავლა.


1997 წლიდან, კანმოს დახმარებით, შესაძლებელი გახდა ამ სამუშაოების გათაროვება. ამ წელს გამოვლინდა 546 მტარებელი (26,2%) 2086 გამოკვლეულიდან. ბაქტერიომტარებელთა ნილი მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფში 6%-დან (სამხედრო ნაწილი) 55%-მდე (კომპაქტურად ჩასახლებელი იძულებით გადააღილებული პირები) აღწევდა. კლინიკური სამედიცინო ჰერსონალის ბაქტერიომტარებლობა 20%-დან 39%-მდე მერყეობდა.

2000-2001 წლებში თბილისის სკოლებში გამოკვლეული იქნა 6-14 წლის 1271 კანმრთელი ბავშვი. დადასტურდა დიფთერიის გამომწვევის ერთი (0,078%) ტოქსიგენური და ორი (0,15%) არატოქსიგენური შტამი. კვლევის შედეგად კიდევ ერთ-ხელ დამტკიცდა ეპიდემიის „ჩაქრობა“ მასობრივი აცრების კამპანიების და გეგმიური აცრებით მოცვის გაუმჯობესების მეშვეობით.

Since 1993, after the epidemic of diphtheria and mass immunization campaign were finished, the study to characterize the C. Diphtheria carriers has been planned in order to control further outbreaks. Besides the mass immunization, detection of carrier and their treatment was essential. Since 1997, with the support of the World Health Organization the extension of these measures has become possible.

That year, 546 carriers (26.2%) out of 2086 tested individuals were identified. The ratio of bacteriocarriers varied from 6% (in Military unit) up to 55% (compact settlement of internally displaced persons) in different population groups. Bacteriocarrier rates among medical personnel ranged between 20-39%.


In 2000-2001, 1271 healthy, 6-14 years old children were tested in Tbilisi schools. One toxigenic (0,078%) and two nontoxigenic strains, causing diphtheria were confirmed. The study, once again, confirmed that epidemic was stopped by improving the mass immunization campaigns and maintaining the high routine vaccination coverage.



პამებიაზი

1998-1999 წლებში თბილისში ადგილი ჰქონდა ამებიაზის (*Entamoeba histolytica*) აფეთქებას. თბილისის აფეთქების უჩვეულო მახასიათებელი იყო ღვიძლის ამებური აბსცესის მაღალი მაჩვენებელი. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა გავრცელების მექანიზმის დადგენა, ახალი შესაძლო აფეთქების პრევენცია და დიაგნოსტიკის სწრაფი, მგრძნობიარე და თანამედროვე მეთოდის ათვისება/დანერგვა.

გამოწვევების დაძლევისა და ეპიდაფეთქების კონტროლის მიზნით, გარდა ოპერატორული აღწერილობითი ეპიდემიოლოგიის მეთოდებისა, აშშ CDC-ის მსარდაჭერით დაიგეგმა და საქართველოში პრეველად განხორციელდა ორი თანმიმდევრული ანალიტიკური ფართომასშტაბიანი კვლევა: შემთხვევა-კონტროლისა და გამჭვილი (პრევალენტობის), ლაბორატორიული კომპონენტის ჩათვლით.



In 1998-1999 Amebiasis outbreak occurred in Tbilisi (*Entamoeba histolytica*). High rate of amebic liver abscesses was an unusual feature of Tbilisi Amebiasis outbreak. Identification of distribution mechanism, prevention of new outbreak and implementation of rapid, sensitive and modern methods became the essential challenge for Public Health security.

In order to overcome the challenges and to control the outbreak, in addition to operational descriptive epidemiology methods, two successive large-scale analytical studies were conducted in Georgia with the support of USA CDC: a case-control study and cross-sectional study (prevalence), including the laboratory component.

AMEBIASIS

არაგადამდებ დაავადებათა სექტორის სექტორის შექმნა

არაგადამდებ დაავადებათა სექტორი დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში შეიქმნა 1999 წელს. სექტორი ორი მიმართულებით მუშაობდა – არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგია და კანმრთელობის ხელშეწყობა. ქვეყანაში დაიწყო არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობის საფუძვლების შექმნა და კანმრთელობის ხელშეწყობი პროგრამების შემუშავება.


არაგადამდებ დაავადებათა დეპარტამენტში დღეს ითხო სამმართველო ფუნქციონირებს: არაგადამდებ დაავადებათა; დედათა და ბავშვთა კანმრთელობის; გარემოს კანმრთელობისა და კანმრთელობის ხელშეწყობის სამმართველოები.

DEVELOPMENT OF THE NON-COMMUNICABLE DISEASES SECTOR

NCD Sector was established in the NCDC in 1999. There were two directions in the sector section: NCD epidemiology and health promotion. The country has started initiated development of NCD surveillance and elaboration of health promotion programmes since 1999.

Currently there are four units functioning at the NCD Department: NCD Epidemiology; Maternal and Child Health; Environmental Health and Health Promotion.

სიკვდილიანობის სტრუქტურა, საქართველო
MORTALITY STRUCTURE, GEORGIA





20



ჟანდაცვის ინფორმაციის სამხრეთ კავკასიის პროექტი

ჟანდაცვის საინფორმაციო სისტემის განვითარების კუთხით ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა „ჟანდაცვის ინფორმაციის სამხრეთ კავკასიის პროექტი“, რომელსაც კანადის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (CIDA) მხარდაჭერით ახორციელებდა კანადის ჟანმრთელობის დაცვის საერთაშორისო საზოგადოება. პროექტმა ხელი შეუწყო თანამედროვე ტექნოლოგიების საფუძველზე ჟანდაცვის საინფორმაციო სისტემების საკითხებში გადამზადებული კადრების შექმნას ქვეყნისა და რეგიონების დონეზე.

An important step forward in Healthcare information system development was "The South Caucasian Health Information Project", which was implemented by the Canadian Society for International Health in cooperation with the Canadian International Development Agency (CIDA) support. The project contributed to create trained human resources capacity on state and regional levels.

SOUTH
CAUCASIAN
HEALTH
INFORMATION
PROJECT

რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევები საქართველოში

რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევების მიზანი იყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საერთაშორისო ორგანიზაციების, დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის სფეროსთან შეხებაში მცოდი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმაციული უზრუნველყოფა; ეროვნული და რეგიონალური მაჩვენებლების ანალიზი და შეფასება, როგორებიცაა: ორსულობა და შობადობა, სექსობრივი აქტიურობა და კონტრაცეპტივების გამოყენება, აბორტების გამოყენება, ქალების სამედიცინო მომსახურება, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა, ქალთა ჯანმრთელობა და სხვა.

სამივე კვლევა ჩატარდა საერთაშორისო ორგანიზაციების დაფინანსებით (USAID, UNFPA, UNICEF, UNHCR, AIHA) და CDC/ატლანტის ტექნიკური დახმარებით.

კვლევებმა მოიცვა მთელი საქართველო. შერჩევა ქალაქის, სოფლისა და რეგიონის დონეზე მონაცემების დაყოფის საშუალებას იძლევა.

The goal of the RHS was to provide the Ministry of Labour, Health and Social Affairs of Georgia, international organizations, governmental and non-governmental organizations working with mothers and children, with the information and indicators (at national and regional levels) related to: pregnancy and child birth, sexual activity, contraception, abortions, health services for women, maternal and child health, women's health, etc.

All three surveys were supported by the international organizations (USAID, UNFPA, UNICEF, UNHCR, AIHA) with technical assistance from CDC/Atlanta. The surveys covered whole Georgia. Selection enables to divide the provided data at urban, rural and regional levels.



იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამა და B ჰეპატიტის პროფილაქტიკა

B ჰეპატიტის სანინაალმდეგო აცრებს ჩვენს ქვეყანაში 16 წლის ისტორია აქვს.

ჰეპატიტის სანინაალმდეგო პირველი აცრები ჩატარდა 2000 წელს, ქალაქის 13-14 წლის ასაკის მოსახლეობაში.

2001 წლიდან ვაქცინებისა და იმუნიზაციის ვლობალური ალიანსის (GAVI) დახმარებით იმუნიზაციის ეროვნულ კალენდარში დაინერგა ახალშობილებში B ჰეპატიტის სანინაალმდეგო სამჯერადი აცრები.

ჰენტრავალენტური (DPT+HepB+Hib) და შემდგომ ჰექსავალენტური (DPaT+HepB+Hib+IPV) ვაქცინის დანერგვასთან ერთად, B ჰეპატიტის სანინაალმდეგო აცრების კურსი გაიზარდა და ამჟამად საქართველოში ტარდება ოთხჯერადად – 0-12 სთ, 2, 3, 4 თვის ასაკში. იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამა რუტინულ ვაქცინაციასთან ერთად, ასევე, უზრუნველყოფს ორსულთა ტესტირებას და HbsAg-ზე დადებითი დედების ახალშობილთა პასიურ იმუნიზაციას B ჰეპატიტის სანინაალმდეგო იმუნოგლობულინით.

ჰეპატიტის სანინაალმდეგო აცრების დანერგვის შემდგომ ბავშვთა ავადობა მნიშვნელოვნად შემცირდა.


Hepatitis B vaccination has a 16 years history.

First Hepatitis B vaccinations were performed in 2000, among 13-14 year old urban population.

The three doses of Hepatitis B vaccine have been introduced to the national immunization calendar with GAVI support since 2001.

With the introduction of the pentavalent and later the hexavalent vaccines in Georgia the number of Hepatitis B vaccine doses have been increased to four – during the first 12 hours after birth and 2, 3 and 4 months. In addition to routine vaccination, the National Immunization Program provides free testing of pregnant women and passive immunization of newborns of HbsAg positive mothers with Hepatitis B immunoglobulin.

After introduction of Hepatitis B vaccine morbidity among children has dramatically decreased.



აური და ღაიცავი!



ევროპის
იმუნიზაციის
ნამედი

NATIONAL
IMMUNIZATION
PROGRAM
AND HEPATITIS B
PREVENTION

5 წლამდე ასაკის ბავშვთა კვების სტატუსის შეფასება

ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა კვების სტატუსის შეფასება გვალვით დაზარალებულ საქართველოს ექვს რეგიონში. კვლევის მიზანი: იმოქმედა თუ არა 2000 წლის გვალვამ ბავშვთა ანთროპომეტრიულ მაჩვენებლებზე. კვლევა ჩატარდა სამ ეტაპად (6 თვის ინტერვალით).

შესწავლილია ფიზიკური განვითარების მაჩვენებლები (სიმაღლე, წონა), ძუძუთი კვების ხანგრძლივობა, სხვადასხვა სახის საკვების მიღების ჟერალობა, კვების ჟერალობა და ხასიათი, დიარეული და ცხელებით მიმდინარე დაავადებების პრევალენტობა, სამდიცინო დახმარების ხასიათი, სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, კომლის შემოსავლის წყაროები.

კვლევა შესრულებულია USAID-ის დაფინანსებით და „Save the Children-US“ საქართველოს საველეოფისის დახმარებით, CDC-Atlanta-სა და კონსულტანტის ირვინ შორის ტექნიკური ხელშეწყობით.

Assessment of nutrition status of children less than five years of age was carried out in six drought-affected regions of Georgia.


The aim of the study was to define whether the anthropometric measurements of children were affected by drought, 2000.

The study was carried out in three rounds (with 6 month interval each).

Physical development (weight and height), as well as breastfeeding duration, ratio of consumption of different kinds of food, frequency and feature of nutrition, prevalence of diarrhoeal and febrile diseases, medical service types, also socio-economic data, sources of household income were investigated.

NUTRITIONAL STATUS OF CHILDREN UNDER THE AGE OF 5

The study was funded by USAID and was supported by „Safe the children US“ Georgia Field Office. Technical assistance was provided by CDC Atlanta and consultant Irvin Shorr.





ასპ მე-10 გადახედვის დანერგვა

24



საქართველოს კანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციაში განევრიანების პერიოდიდან კანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოში კანდაცვის საინფორმაციო სისტემის განვითარებაში. თანამშრომლობის მნიშვნელოვან ქვაკუთხედს წარმოადგენს ავადმყოფობათა და კანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა პრობლემების საერთაშორისო სტატისტიკური კლასიფიკაციის მე-10 გადახედვის მთელი ქვეყნის მასშტაბით დანერგვა, რისთვისაც წლების განმავლობაში ტარდებოდა ავადობისა და სიკვდილიანობის რეგისტრაციის შესასწავლი კასკადური ტრენინგები სხვადასხვა მიზნობრივი ჰგუთისათვის. რეგიონულ დონეზე შექმნილია ტრენერთა კორპუსი. ამასთან, საქართველო ევროპის რეგიონის პირველი ქვეყანაა, რომელმაც 2011-2012 წლებში საკუთარ ენაზე გადათარგმნა კანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული ავადობისა და სიკვდილიანობის კოდირების ვებ-დათვეძნებული ინტერაქტიული სასწავლო პაკეტი, რომელიც მომზადდა სამედიცინო სტატისტიკის დეპარტამენტის ძალებით და განთავსდა ცენტრის ვებგვერდზე.



The World Health Organization plays an important role in the development of the health information system in Georgia. An important milestone of the collaboration was the implementation of the 10th Revision of the International Statistical Classification of Diseases and Related Health Problems throughout the whole country. A lot of cascade trainings for different target groups have been conducted to study the morbidity and mortality registration. The trainers' potential has been developed at regional level. However, Georgia was the first country in the European region, having translated The World Health Organization's Web-based interactive training package for coding morbidity and mortality in 2011-2012, it was prepared by the Department of Medical Statistics and was uploaded on the Center's web-site.

IMPLEMENTATION
OF THE ICD-10

გლობალურ სალმონელოზურ ქსელში ჩართვა

2001 წლიდან დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი კანძროთელობის ეროვნული ცენტრი ჩაერთო კანძროთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გლობალურ სალმონელოზურ ქსელში; ასევე, მონაწილეობს სალმონელას გლობალური კვლევის ხარისხის გარე კონტროლის პროგრამაში.



The National Center for Disease Control and Public Health has become part of the WHO Global Salmonella Network since 2001. The Center takes part in Salmonella Global Investigation External Quality Assessment Program as well.



საქართველოს ჯანდაცვის საინფორმაციო და დაავადებათა ზედამხედველობის სისტემის რეფორმა

შეფასების შემდეგ შემუშავდა მართვის საინფორმაციო სისტემის და გადამდებარების დაავადებათა ზედამხედველობის სისტემის რეფორმირებული მოდელები, რაც გულისხმობდა ცვლილებებს ყველა დონეზე. მოდელების პილოტირება მოხდა რეგიონის დონეზე და დახვეწის შემდეგ დაინერგა ქვეყნის მასშტაბით.

რეფორმის ფარგლებში შემუშავდა:

- » რეგისტრაცია/შეტყობინება/ანგარიშგების ფორმები და შესაბამისი მეთოდური მითითებები;
- » შემთხვევის სტანდარტული განმარტებები, შემთხვევის გამოვლენის, დადასტურების და რეაგირების პროცედურები; სამუშაო წიგნები, ლაბორატორიული ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო;
- » მეთოდური მითითებები იმუნიზაციის მართვის საინფორმაციო სისტემისთვის;
- » კომპიუტერული პროგრამები იმუნიზაციის და დაავადებათა ზედამხედველობის სისტემებისთვის, რომელიც საშუალებით ხდება მონაცემთა მართვა და ანალიზი ნაციონალურ და სუბნაციონალურ დონეზე;
- » გადამზადდა პირველადი ქანდაცვის და საზოგადოებრივი ქანდაცვის პერსონალი რეფორმირებული მოდელის პრაქტიკაში გამოყენებაზე;
- » რეფორმირებული მოდელები დაინერგა ქვეყნის მასშტაბით ქანდაცვის სამინისტროს შესაბამისი ნორმატიული აქტებით;
- » დახმარება გაეწია ქანდაცვის სამინისტროს ახალი საზოგადოებრივი ქანდაცვის კანონის შემუშავების პროცესში.

The reformed model was designed after thorough assessment of Immunization Management Information System (MIS) and Infectious Disease Surveillance (IDS) system in the country. The reformed model that implied modifications at all levels was first piloted in the regions and after fine-tuning was carried out over the whole country. During the project implementation, the following were developed:

- » Registration/ notification/ reporting forms and guidelines on their application;
- » Standardized case definitions, case investigation, analysis and response procedures; Job-aids, Laboratory quality assurance manual on the Vaccine Preventable Diseases;
- » New MIS guidelines, registration, reporting forms, job aids to assist health workers in information-based program management;
- » Software applications for immunization MIS and Disease Surveillance, which allowed data storage, management and analysis at national and subnational level;
- » Primary care and public health personnel was trained in new practices relevant to upgraded system elements;
- » The reformed Immunization MIS and IDS models were institutionalized in the country through MoH decrees;
- » Assistance was provided to the MoH in the new Law on Public Health development process.



BTEP/ISTC პროექტები

აშშ DHHS ბიოტექნოლოგიების ჩართულობის პროგრამასთან (BTEP) პარტნიორობა დაიწყო 2001 წელს. BTEP-ის გრანტები მიმართული იყო გამოყენებითი მეცნიერების განვითარებისაკენ; დაფინანსდა ამებიაზის, ბოტულიზმის, ჰეპატიტი C-ს, ლეიშმანიოზის, ანტიბიოტიკოლებისტენტობის და სხვა პროექტები.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ცენტრის სამეცნიერო აღჭურვილობა და აშშ-ში სანგრძლივი გადამზადება გაიარა 20-მდე თანამშრომელმა. BTEP-ის პროექტები ფინანსდებოდა ISTC-ს მეშვეობით.

სულ შესრულებულია 11 პროექტი.

US DHHS partnership through Biotechnology Engagement Program (BTEP) started in 2001. BTEP projects were focused on development of applied science. Within the BTEP scope several projects were funded, namely: Amebiasis, Botulism, Hepatitis C, Leishmaniosis, antibiotic resistance, etc.

The Center supported BTEP projects to improve research infrastructure and develop scientific potential. About 20 staff members passed long-term internship in the US. BTEP Projects were funded through ISTC.

Total 11 BTEP Projects were implemented.

BTEP/ISTC
PROJECTS



DTRA/CTR პროგრამის დაფუძნება საქართველოში

28

გაფორმდა ხელშეკრულება: „საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტს შორის ბიოლოგიური იარაღის განვითარებასთან დაკავშირებული ტექნოლოგიების, პათოგენებისა და გამოცდილების გავრცელების თავიდან აცილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“.

ნან-ლუგარის ინიციატივის ფარგლებში შექმნილი საფრთხის შემცირების პროგრამის საშუალებით დაიგეგმა და განხორციელდა ერთობლივი სამეცნიერო პროექტები და ტრენინგები ეპიდემიოლოგიის, ზედამხედველობის, ბიოდაცვისა და ბიოუსაფრთხოების სფეროებში. აღნიშნული თანამშრომლობისა და ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან უპრეცედენტო ფინანსური და ტექნიკური ინვესტიციის შედეგია რ. ლუგარის საზოგადოებრივი ჟანმრთელობის პოლევითი ცენტრი – ბიოუსაფრთხოების მე-3 დონის ერთადერთი რეფერალური ლაბორატორია რეგიონში და თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ლაბორატორიული ქსელი ქვეყნის მასშტაბით, ჩართული ჟანდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების სისტემებში და მოქმედი „ერთიანი ჟანმრთელობის“ პრინციპით.



“Agreement between the Department of Defense of the USA and Ministry of Defense of Georgia Concerning Cooperation in the Area of Prevention of Proliferation of technology, Pathogens and Expertise Related to the Development of Biological Weapons” was signed through Nunn-Lugar Cooperative Threat Reduction Program. The number of scientific projects and trainings were held in the fields of surveillance, biosafety and biosecurity.

As a result of unprecedented technical and financial support from the US Government R. Lugar Center for Public Health Research was established. The latter is the single, state-of-art BSL 3 facility in the region which implies sophisticated laboratory network throughout Georgia operating in line with “One Health” principle connected to MOLHSA and MOA.



DTRA/CTR
PROGRAM
ESTABLISHMENT
IN GEORGIA

წითელა/წითურას ნაციონალური ლაბორატორიის მონაწილეობა პანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული ბიუროს წითელა/წითურას ლაბორატორიულ ქსელში, რომლის მიზანია: წითელა/წითურას ელიმინაციის გლობალური პროგრამის ფარგლებში წითელას, წითურასა და თანდაყოლილი წითურას სინდრომის ეპიდზედამხედველობის გაუმჯობესება ამ დაავადებების საეჭვო შემთხვევების ლაბორატორიული დადასტურების გზით.


სეროლოგიური ლაბორატორიის წითელა/წითურას ჟუფი 2002 წლიდან ჩართულია კანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული ბიუროს წითელა/წითურას ლაბორატორიულ ქსელში, რომლის მიზანია: წითელა/წითურას ელიმინაციის გლობალური პროგრამის ფარგლებში წითელას, წითურასა და თანდაყოლილი წითურას სინდრომის ეპიდზედამხედველობის გაუმჯობესება ამ დაავადებების საეჭვო შემთხვევების ლაბორატორიული დადასტურების გზით.

ლაბორატორია ყოველწლიურად მონაწილეობს კანმო-ს ხარისხის გარე კონტროლის შეფასების პროგრამაში. 2004 წლიდან წითელა/წითურას ნაციონალური ლაბორატორია აკრედიტებულია კანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ.

MEASLES/
RUBELLA
NATIONAL
LABORATORY
PARTICIPATION
IN WHO/EUROPE
MEASLES/RUBELLA
NETWORK

Measles/Rubella laboratory group of Serology lab has been the member of the EURO/WHO Measles/Rubella Laboratory Network since 2002. The network aims at improving surveillance of Measles/Rubella and congenital rubella syndrome through laboratory testing of suspicious cases as an integral part of Global Program for Measles/Rubella elimination.

The lab participates in the WHO external quality control program annually. Measles/Rubella National Laboratory has been accredited by WHO since 2014.





საქართველო სერტიფიცირებულია, როგორც პოლიომიელიტისგან თავისუფალი ქვეყანა

1988 წელს დაიწყო პოლიომიელიტის ერადიკაციის მსოფლიო ინიციატივა.

საქართველო პოლიოერადიკაციის პროგრამაში 1995 წლიდან ჩაერთო MECACAR-ის ოპერაციის ფარგლებში; ოპერაცია MECACAR მოიცავდა აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის, კავკასიის, ცენტრალური აზიის ქვეყნებსა და რუსეთს, სადაც ერთდროულად ტარგებოდა პოლიომიელიტის საწინააღმდეგო მასობრივი იმუნიზაციის ორი რაუნდი; ოპერაცია MECACAR მიმდინარეობდა 1995-2000 წლების განმავლობაში; სულ MECACAR ეგიდით საქართველოში 1,200 ათასამდე 0-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვი აიცრა დამატებით პოლიომიელიტზე; შემდგომ წლებში იმუნიზაციის დამატებითი აქტივობების ფარგლებში პოლიომიელიტის ორალური ვაქცინით კიდევ 380 000-ზე მეტი 0-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვი აიცრა.

World Initiative was launched in order to eradicate poliomyelitis in 1988.

Georgia became involved in the polio eradication process in 1995, within the MECACAR operation.

MECACAR operation included the eastern Mediterranean, the Caucasus, Central Asian countries and Russia, where the massive anti-polio immunization was carried out simultaneously in two rounds.

MECACAR operation lasted 6 years, during 1995-2000.

Under the auspices of MECACAR, up to 1,200 children, aged 0 to 6 years, were vaccinated against polio.

In later years, another 380 000, aged 0 to 15 years, were vaccinated with polio oral vaccine within the additional immunization activities.

GEORGIA IS
CERTIFIED AS
POLIO-FREE
COUNTRY

სამედიცინო სტატისტიკის და ინფორმაციის ცენტრის შემოერთება

31

საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 21 თებერვლის N55 ბრძანებულებით, დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს სამედიცინო სტატისტიკის დეპარტამენტის სახით შეუერთდა „სამედიცინო სტატისტიკის და ინფორმაციის ცენტრი“.

ჩამოყალიბდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი „ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნული ცენტრი“.

სამედიცინო სტატისტიკის დეპარტამენტის ძირითადი მიზანი იყო ჯანმრთელობის დაცვისა და მედიცინის დარგში სტატისტიკის წარმოება, ერთიანი საინფორმაციო სისტემის შექმნა და მისი სრულყოფა სწორი სტრატეგიის, ტაქტიკისა და ოპერაციული გადაწყვეტილებების მისაღებად. 2013 წლიდან დეპარტამენტი მოიცავს ორ ქვედანაყოფს – რუტინული სტატისტიკისა და რეგისტრების სამმართველო და მონაცემთა ანალიზისა და წარდგენის სამმართველო.

On behalf of The President's Decree N55 (February 21, 2003) on "Liquidation of the Medical Statistics and Information Center and its accession with the National Center for Disease Control", Medical Statistics and Information Center was integrated as the Medical Statistics Department with the National Center for Disease Control.

A Legal Entity of Public Law (LEPL) – "Levan Sakvarelidze National Center for Disease Control" was established.

The goals of the Medical Statistics Department were to produce statistics in the field of healthcare and medicine; to create and strengthen the health information system to make appropriate decisions. Since 2013 the Department of Medical Statistics has included two units: Routine Statistics and Registries Division and Data Analysis and Presentation Division.



მალარიის აღმოფხვრის პროექტის დაწყება


32



Georgia became the first country in the European region that was granted by the Global Fund for Malaria. As a result of the Project, consistent reduction of malaria cases have been achieved in the country since 2004.

Registered 472 cases decreased to 1 from 2002 to 2009. Malaria as an endemic disease in Georgia has been eliminated since 2010.

მალარიის შემთხვევების რაოდენობა, საქართველო
MALARIA CASES IN GEORGIA



